ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6215051

ნომერი: AR1933625

თარიღი : 11.11.2022

გაცემის თარიღი : 18.11.2022

გაცნობის თარიღი : 18.11.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , N 6ე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ზვიადაური პ/ნ 01008055454
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 4 ბ. 79

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 აგვისტოს №6084815 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 11 ნოემბერს №AR1933625 განცხადებით მომართა ალექსანდრე ზვიადაურმა და მოითხოვა ამავე სამსახურის

2022 წლის 17 აგვისტოს №6084815 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 17 აგვისტოს №6084815 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა №6ე-ში მდებარე №01.10.06.001.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (XII კორპუსის ბლოკი „ბ“) და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 17 აგვისტოდან 2024 წლის 17 მაისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 17 აგვისტოს №6084815 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს საპროექტო შენობის (XII კორპუსის ბლოკი „ბ“) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად (კ2) 5322.0 კვ.მ-ის ნაცვლად 5112.9 კვ.მ-ის, ხოლო №01.10.06.001.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული ყველა საპროექტო შენობა-ნაგებობის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობების ჯამურ მაჩვენებლად - 15536.8 კვ.მ-ის ნაცვლად 15299.2 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა გასწორებული კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ ვექტორულ ფაილში წარმოდგენილი კროკების მიხედვით საპროექტო შენობის (XII კორპუსის „ბ“ ბლოკის) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კ2) არის - 5112.9 კვ.მ., შესაბამისად განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი 0.7 ნაცვლად იქნება - 0.6 (5112.9 კვ.მ./7890 კვ.მ.=0.6). ამასთან, №01.10.06.001.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საპროექტო შენობა-ნაგებობის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების საანგარიშო ფართობების ჯამური მაჩვენებელია - 15299.2 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 აგვისტოს №6084815 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 აგვისტოს №6084815 ბრძანებაში და კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) ველში „ბ“ ბლოკის გრაფაში “5322.0 კვ.მ. / 7890.0 კვ.მ. = 0.7” ნაცვლად დაფიქსირდეს „5112.9 კვ.მ. / 7890.0 კვ.მ. = 0.6“ და ჯამური მაჩვენებლის გრაფაში - „15536.8 კვ.მ. / 7890.0 კვ.მ. = 2“ ნაცვლად „15299.2 კვ.მ / 7890.0 კვ.მ=2.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 აგვისტოს №6084815 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 აგვისტოს №6084815 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.